ოქმი:**ო03. 3725238001**

თარიღი:**26/08/2025**

ოქმი № 6

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

2025 წელი, 26 აგვისტო
ქ.ოზურგეთი
12:00 -12:30 საათი

თავმჯდომარეობდა: გელა ჩავლეშვილი- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ნ. ქარჩავა, მ. ვაშალომიძე, ქ. ხომერიკი, ბ. მელუა, ლ. ბიგვავა, ს. ქარცივაძე, ბ. თოიძე, დ. მჟავანაძე, ტ. არეშიძე.

სხდომის თავმჯდომარემ, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2025 წლის მეორე კვარტლის შესრულების ანგარიშის მიმოხილვის შესახებ.

მომხსენებელი: გ. ჩავლეშვილი

თანამომხსენებელი: გ. ჩაგანავა

სხდომის თავმჯდომარემ გ.ჩავლეშვილმა კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის მეორე კვარტლის შესრულების ანგარიშის ძირითადი პარამეტრები, ხოლო ვრცლად მასზე ისაუბრა თანამომხსენებელმა გ. ჩაგანავამ, რომელმაც კომისიის წევრებს გააცნო ბიუჯეტის მეორე კვარტლის შემოსულობები და ხარჯები, აღნიშნა, რომ მეორე კვარტლის ბიუჯეტის შემოსულობებმა წინა წლის გარდამავალი ნაშთების გარეშე შეადგინა 35, 683,5 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 25,9 %-ია, ხოლო ფაქტიურმა საკასო ხარჯებმა 35 405,5 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 65,2%-ია. სარეზერვო ფონდის ხარჯმა შეადგინა 70,8 ათასი ლარი. ინფორმაციის მოსმენის შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში, კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიზანშეწონილად მიიჩნიეს საკითხის საკრებულოს სხდომაზე წარდგენა განხილვისა და ცნობად მიღების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და კომისიის სხდომის დღის წესრიგში შეტანილი საკითხი წარდგენილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განხილვისა და ცნობად მიღების მიზნით.

გელა ჩავლეშვილი

საფინანსო-საბიუჯეტო კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი